



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N3

ქ. მარნეული

25.01.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რაგიმ ასკეროვი, ქამილ ალიევი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან გიორგაძე, რიჩარდგიგანი, ირაკლი ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით არომიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგის დამტკიცებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგოჭურმა აღნიშნა თუ რატომ ხდება სხდომაზე განსახილველი საკითხების შემოტანა სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე და რატომ არაა დაცული კანონით დადგენილი ვადები. ასევე მან მოითხოვა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა.ა.ი.პ.-ებსა და შ.პ.ს.-ებში არსებული საშტატო ერთეულების შესახებ გვარ-სახელების, თანამდებობრივი სარგოების მითითებით, ასევე ვინაა მათ შორის კონკურსით დანიშნული, ვინაა დროებითი მოვალეობის შემსრულებელი ან ხელშეკრულებით აყვანილი მათზე რიცხული საწვავისა და სასაუბრო ლიმიტის მითითებით, რასაც საკრებულოს ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.ააიპ „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

3. ააიპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

4. ააიპ „სუფთა მარნეული“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

5. ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის, საშტატო განრიგის, პროგრამების და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

6. ააიპ „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

7. შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

8. შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

9. შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა, საშტატო განრიგის, პროგრამების და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგი. მანვე აღნიშნა, რომ აღნიშნული საწარმოს ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ წერილობით შემოვა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო სხდომის დაწყებამდე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მესამე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი